Women's Information Center

2022 წელი

კვლევა

სავალდებულო გენდერული კვოტების მექანიზმის ზეგავლენა ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკაზე

კვლევა განხორციელდა ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ, დანიური ორგანიზაციის KVINFO-ს და დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით

ავტორი: მაია კუპრავა - შარვაშიძე

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

შესავალი 6

კვლევის მეთოდოლოგია 8

კვლევის ძირითადი მიგნებები 9

კვოტების მექანიზმი ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე 10

ქალთა წარმომადგენლობა ადგილობრივი არჩევნების შედეგები 11

სამიზნე მუნიციპალიტეტების მონაცემები 2021 წლის არჩევნების შედეგად 13

- ბოლნისის მუნიციპალიტეტი 13
- ხაშურის მუნიციპალიტეტი 14
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტი 15
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტი 16
- ქედის მუნიციპალიტეტი 17

ქალი პოლიტიკოსები ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკაში 18

დასკვნა 23

რეკომენდაციები 24

დანართი 26

შეჯამება 33

წინასიტყვაობა

დამოუკიდებელი საქართველოს [1]ისტორიაში ქალთა პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლა დაახლოებით ოცდახუთ წელზე მეტს ითვლის. თუმცა, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ის ბრძოლა, რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში მიმდინარეობდა ქალთა უფლებებისთვის საქართველოში.

საქართველო მსოფლიოს იმ ქვეყნების რიცხვში შედიოდა, სადაც 1909- 1919 წლებში ქალებმა მოიპოვეს საარჩევნო ხმის უფლება. 1918 წლის 26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი[2] - იურიდიულ-პოლიტიკური დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო დამოუკიდებელი საქართველოს ძირითადი სამართლებრივ - სახელმწიფოებრივი პრიორიტეტები და რომელიც შედგებოდა 7 პუნქტისაგან, მე - 5 პუნქტში ნათქვამი იყო, რომ: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

1918 წლის 22 ნოემბერს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა კანონი - „დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნების“ შესახებ - სადაც დეტალურად იყო გაწერილი არჩევნების მარეგულირებელი ყველა საკითხი და რომლის მიხედვითაც, დამფუძნებელი კრების წევრები, საყოველთაო არჩევნებით პროპორციული წესით ირჩეოდნენ , მასში მონაწილეობა შეეძლო ყველას „განურჩევლად სქესისა“[3] და ეროვნებისა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის 1918 წლის არჩევნებში, ეროვნებით აზერბაიჯანელმა ქალმა, ფარიხან სოფიევამ თავის რეგიონში დაამარცხა პარტიის, საქართველოს სოციალ - ფედერალისტთა კანდიდატი და გახდა ეროვნული კრების დამოუკიდებელი წევრი, ის იყო პირველი არჩეული მუსლიმი ქალი[4]. ხოლო, ერთი წლის შემდეგ 1919 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს დამფუძნებელთა კრების 130 დეპუტატს შორის 5 ქალი იყო არჩეული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შემოიტანა და წარმატებით დანერგა საყოველთაო არჩევნების წესი, ქალთა თანასწორუფლებიანობა, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა, რელიგიური პლურალიზმი და სხვ.

დამოუკიდებელმა საქართველომ პირველი რესპუბლიკის პროგრესული ინიციატივებიდან საუკუნის გასვლის შემდეგ კვლავ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის მხარდასაჭერად და გენდერული თანასწორობის პროცესის დასაჩქარებლად. საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წ. 13 ოქტომბერს გაკეთდა ჩანაწერი გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელშიც ძირითადი უფლების რანგში დადგენილია სახელმწიფოს ვალდებულება, იზრუნოს **არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად** და გენდერული

---

[1] 1990 წლის ოქტომბერში არჩეულმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილის რიგგარეშე სხდომაზე, საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32362?publication=0

[2] საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი 1918 ხელმისაწვდომია ბმულზე: https://bit.ly/3UO936L

[3] „ უდიდესი მოვლენა ერის ცხოვრებაში“- დამფუძნებელი კრების არჩევნები (ნაწილი I) ხელმისაწვდომია ბმულზე: https://civil.ge/ka/archives/263433

[4] ფარიხან სოფიევა და პირველი რესპუბლიკა, 18.01.2021. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://indigo.com.ge/articles/farikhan-sofieva-da-pirveli-respublika/

უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. კონსტიტუცია საქართველოს უზენაესი კანონია და ის აღიარებს საერთაშორისო ხელშეკრულებების უზენაესობას შიდა კანონმდებლობაში.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი 2000 წელს დაარსდა და ამ დღიდან ორგანიზაციის ერთ-ერთი პრიორიტეტული სამუშაო მიმართულება სწორედ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობა და მხარდაჭერა იყო. ორგანიზაცია, 2002 წლიდან დღემდე, ლობირებდა გენდერული კვოტების მექანიზმის შემოტანას საკანონმდებლო სივრცეში და იყო ყველა იმ ინიციატივის სათავეებში რომელიც ამ მიმართულებით ხორციელდებოდა ქვეყანაში:

- 2002 წლის, ინიციატივა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის[5] პარლამენტში 40/60% მოთხოვნით;
- 2008 წლის, არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივა[6] 32 400 ამომრჩევლის ხელმოწერით გამტკიცებული 50/50% მოთხოვნა;
- 2015 წლის, ინიციატივა ქალთა პოლიტიკური ჯგუფის, Task Force-ის[7] მიერ ინიცირებული 50/50% ინიციატივა;
- 2017 წელს, ქალთა პოლიტიკური ჯგუფის, Task Force-ის მიერ 37 000 ამომრჩევლის ხელმოწერით გამტკიცებული ინიციატივა პარლამენტში 50/50% მოთხოვნით[8].

არც ერთი ინიციატივა არ იყო მხარდაჭერილი პარლამენტის მიერ. თუმცა, ყველა ამ მცდელობის შედეგად, 2020 წელს საქართველოს პარლამენტმა მმართველი პარტიის ინიციატივით ორგანულ კანონში საარჩევნო კოდექსში გენდერული კვოტების მექანიზმის ჩანაწერი მიიღო.

ფაქტია, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობა დემოკრატიული სახელმწიფოს გამოწვევაა, აღნიშნული მოთხოვნა კი პირდაპირ უკავშირდება გენდერული სამართლიანობის პრინციპის დაცვას და მიზნად ისახავს უთანასწორო დამოკიდებულების აღმოფხვრას. ზოგადად, გენდერული კვოტების მექანიზმი არის, დემოკრატიული დეფიციტის აღმოსაფხვრელად მიმართული ქმედება, სპეციალური ზომა, რომელიც დროებითი ღონისძიება მანამ, სანამ პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის დაბრკოლებები არ გადაილახება.

---

[5] 2001 წელს დაიწყო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ბიუროს (OSCE/ODIHR) რეგიონალური პროგრამა „ქალთა უფლებები, გენდერული თანასწორობა და ქალთა მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ ამ პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ქალთა ორგანიზაციების კოალიცია. 2001 ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.iccn.ge/files/qalebi _situaciis_profilireba_saqartveloshi_2001_geo.pdf

[6] კვოტირების საკანონმდებლო ინიციატივა მეორედ 2008 წელს იქნა წარდგენილი. ინიციატივის ავტორი იყო “ ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი“ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, რომელებსაც მხარს უჭერდა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტისა და ადამიანის უფლებების დაცვის ოფისი (ODIHR), და ქალთა კოალიციის სამუშაო ჯგუფი “ქალი და პოლიტიკა".

[7] ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის Gender Task Force - GTF სამუშაო ჯგუფი შეიქმნა 2014 წლის მარტში. მასში გაერთიანებულია ამ თემაზე მომუშავე 20-ზე მეტი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაცია.

[8] პარლამენტმა, პირველი მოსმენით, არ დაუჭირა მხარი ცვლილებას „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“, ანუ სავალდებულო გენდერული კვოტირების შემოღების კანონპროექტს, რომელიც პარლამენტში 2017 წლის ივნისში შევიდა და რომელსაც 37 ათასზე მეტი ამომრჩეველი აწერდა ხელს. „ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის“ ავტორობით შექმნილ კანონპროექტს, 23 მარტს 10 ხმა დააკლდა იმისათვის, რომ კანონი პირველი მოსმენით მიეღოთ. 66 ხმა 14-ის წინააღმდეგ, ასე გადანაწილდა დეპუტატთა ხმები. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, მომდევნო კვირაში საქართველოს პარლამენტი უნდა დაბრუნებოდა გენდერული კვოტირების საკითხს: „საპარლამენტო უმრავლესობა ინიცირებას გაუკეთებს ორგანული კანონის პროექტს კვოტირების შესახებ“.

საქართველოში, 2021 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში, პირველად ამოქმედდა სავალდებულო გენდერული კვოტების მექანიზმი. აქედან გამომდინარე ქალთა საინფორმაციო ცენტრმა გადაწყვიტა, ჩაეტარებინა კვლევა ხუთ მუნიციპალიტეტში

(ბოლნისი, ხაშური, ხარაგაული, ზუგდიდი, ქედა) და შეესწავლა სავალდებულო გენდერული კვოტების მექანიზმის გავლენის შედეგები ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობასა და ადილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკაზე.

შესავალი

ბოლო წლებში საქართველოში ჩატარებული სხვადასხვა კვლევები ადასტურებდა, რომ პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის ზრდა - მათ შორის, სავალდებულო გენდერული კვოტის გამოყენებით - საზოგადოების დაკვეთაა. ამომრჩევლის უმრავლესობა ემხრობოდა პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდას. ასევე კვლევები ადასტურებდა, რომ საქართველოს მოსახლეობის 60%-ის აზრით, ქალების მეტი ჩართულობა პოლიტიკაში დადებით გავლენას იქონიებს ქვეყნის განვითარებაზე და წინსვლაზე.

2017 წელს, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლს, რომელიც თანასწორობის უფლებას ეხება, დაემატა ახალი მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, „სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების **არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად** და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად“[9]. თანასწორობის პრინციპის კონსტიტუციის დონეზე განსაზღვრა მიუთითებს სახელმწიფოსთვის გენდერული თანასწორობის მიღწევისა და ქალების გაძლიერების მნიშვნელობაზე, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფომ აქტიური ნაბიჯები უნდა გადადგას ქვეყანაში ქალების გასაძლიერებლად, მათი უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და **რეალური თანასწორობის მისაღწევად**.

სწორედ, ამ პერიოდისათვის, საარჩევნო კოდექსი გენდერულად ნეიტრალური რჩებოდა და არ უზრუნველყოფდა ქალთა მონაწილეობის გაძლიერებისთვის საჭირო მექანიზმების შექმნას. თუმცა, 2019 წლის 20 ივნისს, ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა დააჩქარა საარჩევნო სისტემის 2020[10] წლის საპარლამენტო პროპორციულ სისტემაზე გადასვლის პროცესი. რაც, უდავოდ პოზიტიური ცვლილება იყო თუმცა, ახალი შესაძლებლობის გაჩენამ ამავე დროს გააჩინა ეჭვი ქალთა მონაწილეობის შემცირების, რადგან პოლიტიკური პარტიებისთვის მხოლოდ 2020 წლის არჩევნებისთვის შემოტანილი უნდა ყოფილიყო ნულოვანი (0,67) ბარიერი, რასაც შესაძლოა, საფრთხე შეექმნა და უარყოფითი გავლენა მოეხდინა არჩევნებში გამარჯვებული ქალი კანდიდატების რაოდენობაზე.

ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის მხარდასაჭერად და თანასწორობის პროცესის დასაჩქარებლად 2020 წელს, საქართველოს ორგანულ კანონში “საქართველოს საარჩევნო კოდექსი” შევიდა ცვლილებები და მათ შორის მესამე მოსმენით მიღებული იყო - კვოტასთან დაკავშირებული 203 მუხლი მე- 2 და მე - 3 პუნქტი, ასევე 203 მუხლის მე- 8 და მე-9 პუნქტი სადაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევის წესი განისაზღვრა შემდეგი ფორმულირებით, პოლიტიკური პარტია სიის წარდგენისას ყოველი მეორე განსხვავებული სქესი უნდა დაესახელებინა.

2021 წელს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 203-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტი ადგენს მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებისთვის პარტიული სიის შედგენის წესში ცვლილებებს ისე, რომ პარტიის, წარდგენილ სიაში ყოველი სამი კანდიდატიდან ერთი მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი[11].

---

[9] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11. 3. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

[10] საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსი 203 -მუხლი, ნაწილი 8-9 .2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2602687?publication=0

[11] საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსი 203 -მუხლი, ნაწილი 8-9 .2021 ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2602687?publication=0

ქალების მონაწილეობის ხელშესაწყობად, პროპორციული წესით ასარჩევი კანდიდატების სიის წარდგენა და რეგისტრაცია შეუძლიათ მხოლოდ იმ პარტიებს, რომელთა სიებში ყოველ სამ კანდიდატს შორის სულ მცირე ერთი განსხვავებული სქესია წარმომადგენელი.

ამ მექანიზმის ამოქმედებით, ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის, რაც ასევე ეხმიანება ქვეყნის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებას და საკანონმდებლო ჩარჩოს გაძლიერებას.

2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების სავალდებულო გენდერული კვოტების მექანიზმის მოქმედების შედეგად პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობა, წინა არჩევნებთან შედარებით გაიზარდა საკრებულოებში 13.8%-დან 24%-მდე . პროპორციული სიით მანდატი 441-მა ქალმა (31.4%) მოიპოვა, მაშინ, როცა 2017 წელს ქალებმა მანდატების მხოლოდ 19.8% მოიპოვეს.[12]

ქალთა წარმომადგენლობის ზრდის მიუხედავად, თვითმმართველობის არჩევნების შედეგებმა, ვერ მიაღწია კრიტიკულ მასას, რომელიც არსებით თანასწორობას განსაზღვრავს.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი პროექტის - „ქალთა გაძლიერება და სრულფასოვანი მონაწილეობა ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის განხორციელებაში“ - ფარგლებში განხორციელებული კვლევა სამი წლის განმავლობაში დააკვირდება და შეისწავლის სამიზნე მუნიციპალიტეტებში ქალთა წარმომადგენლობის არსებულ მდგომარეობას და მათ აქტიურობას მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განვითარების და გაუმჯობესების საქმეში. გამოავლენს საჭიროებებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გაძლიერებისთვის, არსებითი თანასწორობის მისაღწევად.

[12] სამართლიანი არჩევნები (ISFED), ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა და არსებული საკანონმდებლო ბარიერები,2018. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.isfed.ge/geo/angarishebi/kalta-politikuri-tsarmomadgenloba-da-arsebuli-sakanonmdeblo-barierebi

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევისთვის შერჩეული ხუთი რეგიონის ხუთი მუნიციპალიტეტები თანხვედრაშია პროექტის მიზნობრივ მუნიციპალიტეტებთან, რომლებიც თავდაპირველად შეირჩა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- **ბოლნისის** (ქვემო ქართლი) - მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელია ეთნიკური მრავალფეროვნება. მუნიციპალიტეტში ქართველებთან ერთად ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, სომხები. მათ შორის არის სოფლები, რომლებიც მხოლოდ ეთნიკური უმცირესობებითაა დასახლებული;
- **ხაშურის** (შიდა ქართლი) - მუნიციპალიტეტი მდებარეობს გამყოფ ხაზთან და სოფლები წაღვლი, ჩორჩანა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე წერტილია გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები დევნილებისთვის;
- **ხარაგაულის** (იმერეთი) - მუნიციპალიტეტი გამოირჩევა მაღალმთიან დასახლებათა რაოდენობით;
- **ზუგდიდის** (სამეგრელო) - მუნიციპალიტეტი მდებარეობს გამყოფ ხაზთან და მასში ცხოვრობს დევნილთა დიდი რაოდენობა;
- **ქედის** (აჭარა) - მუნიციპალიტეტი გამოირჩევა მაღალმთიანი სოფლების რაოდენობით, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით.

კვლევა განხორციელდა შემდეგი მეთოდოლოგიით:

1. სამაგიდო კვლევა - საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა.
2. მუნიციპალიტეტიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა.
3. სიღრმისეული ინტერვიუები, წინასწარ შემუშავებული კითხვარებით:
   - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციისთვის (იხილეთ კითხვარი N1)
   - დეპუტატებისათვის გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან (იხილეთ კითხვარი N2).

სულ ჩატარდა 16 სიღრმისეული ინტერვიუ:

- **სქესი:** 11 ქალი (68.75%), 5 კაცი (31.25%);
- **ასაკი:** 32-65;
- **ოჯახური მდგომარეობა**: 5 დასაოჯახებელი (31.25%), 11 დაოჯახებული (68.75%).
- **განათლება**: 16 უმაღლესი განათლება, მათ შორის ორი ქალი (12.5%) აკადემიური ხარისხით ;
- **პოლიტიკური პარტია**: 9 ქართული ოცნება (56.25%), 5 ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (31.25%), 2 გახარია საქართველოსთვის (12.5%);
- **პროპორციული სიით არჩეული დეპუტატები**: 13 (81.25%), მათ შორის 8 ქალი (61.5%) და 5 კაცი (38.5%);
- **მაჟორიტარი დეპუტატები**: 3 (18.75%), ქალი;
- **პოლიტიკურ თანამდებობა:** 7 (43.75%) ქალი;
- **საკრებულოს თავჯდომარე:** ქალი - 1, კაცი -1;
- **საკრებულოს თავჯდომარეს მოადგილე:** კაცი -1;
- **ფრაქციის თავჯდომარე**: კაცი -1;
- **ფრაქციის თავჯდომარეს მოადგილე**: ქალი-3;
- **კომისიის თავჯდომარე**: 1-ქალი.

კვლევის ძირითადი მიგნებები

2021 წლის არჩევნების შემდეგ, ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი გაიზარდა მიზნობრივ ხუთ მუნიციპალიტეტში: ბოლნისის (33%) რაც წინა მოწვევასთან შედარებით 13% -ით მეტია, ხაშურის (30%), რაც წინა მოწვევასთან შედარებით 11%-ით მეტია, ხარაგაულის (33.3 %), რაც წინა მოწვევასთან შედარებით 5%-ით მეტია, ზუგდიდის (31%), წინა მოწვევასთან შედარებით 17% გაიზარდა და ქედის (14.2%), წინა მოწვევასთან შედარებით 10% გაიზარდა. ქალთა წარმომადგენლობის ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 17% ზუგდიდის საკრებულოში დაფიქსირდა. ასევე ხაშურის და ხარაგაულის საკრებულოებში ორი არჩეული ქალი თავჯდომარეა.

ძირითადი მიგნებები

1. ქალთა წარმომადგენლობის ზრდის მიუხედავად, ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე არჩეულ ქალ დეპუტატთა მაჩვენებელი კვლავ დაბალია.
2. სავალდებულო გენდერული კვოტების მექანიზმის მიღებას დადებითად აფასებს რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა.
3. რესპონდენტი ქალების შეხედულებით, სავალდებულო გენდერული კვოტების მექანიზმის შემოღებამ პოზიტიურად შეცვალა კაცების მხრიდან ქალების მიმართ დამოკიდებულება პოლიტიკური პარტიის შიგნით.
4. რესპონდენტი ქალების შეხედულებით, სავალდებულო გენდერული კვოტების მექანიზმის შემოღებამ და ქალთა რაოდენობის ზრდამ, პოზიტიურად შეცვალა კაცების მხრიდან ქალების მიმართ დამოკიდებულება საკრებულოებში.
5. რესპოდენტი დეპუტატი კაცები აღიარებენ სავალდებულო გენდერული კვოტების მექანიზმის ამოქმედების მნიშვნელობას და აღნიშნავენ, რომ ამ ცვლილებამ გამოიწვია და ხელი შეუწყო სიტუაციის გაჯანსაღებას, პროფესიონალიზმის და კვალიფიკაციის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას საკრებულოში სხდომების განხილვების საქმეში.
6. რესპოდენტ ქალთა 63% თვლის, რომ არა სავალდებულო გენდერული კვოტების მექანიზმი ისინი ვერ მოხვდებოდნენ პროპორციულ სიაში და შესაბამისად ვერ გახდებოდნენ დეპუტატები.
7. რესპონდენტ ქალთა მხოლოდ 8% - ს მიაჩნია, რომ სავალდებულო გენდერული კვოტების მექანიზმის გარეშეც შეძლებდნენ გამხდარიყვნენ დეპუტატები.
8. გამოიკვეთა პოზიტიური ტენდენცია, საკრებულოში ეთნიკური უმცირესობების ქალთა წარმომადგენლობის გაზრდასთან დაკავშირებით.
9. საკრებულოებში ქალი დეპუტატების წარმომადგენლობის გაზრდამ ხელი შეუწყო ისეთი მნიშვნელოვანი თემების წინ წამოწევას როგორიცაა შშმ ქალების საჭიროებები და მათი დასაქმების საკითხი.
10. წინ წამოიწია და მნიშვნელოვანი გახდა გარემოს დაცვის, ბავშვებისა და ახალგაზრდების გასართობი პარკების კეთილმოწყობის საკითხები.
11. ყურადღება გამახვილდა სოფლის ინფრასტრუქტურის წყლის, კანალიზაციის, გარე განათების და შიდა გზების მოწესრიგების საკითხებზე.
12. რესპოდენტებს პოლიტიკაში მოსვლის განსხვავებული მოტივაცია და გამოცდილება აქვთ.
13. დეპუტატთა უმრავლესობის გენდერული ცნობიერება დაბალია ადგილობრივი და საერთაშორისო ვალდებულებების, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის მიმართულებით.
14. რესპონდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ ქალის პოლიტიკური კარიერული ზრდის ხელშემშლელი ფაქტორია საზოგადოების განწყობა ქალი პოლიტიკოსის მიმართ, არსებული გენდერული სტერეოტიპები.

15. არასაკმარისი, შეზღუდული დრო, რომელიც განპირობებულია ქალზე დაკისრებული საოჯახო საქმეებით, ოჯახის წევრებზე ზრუნვით და სხვა ვალდებულებებით, რაც კიდევ უფრო უთანასწორო გარემოს ქმნის ქალებისთვის.
16. რესპონდენტთა მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური კარიერის კეთება სქესზე არ არის დამოკიდებული და უკავშირდება მხოლოდ ადამიანის განათლებას, კვალიფიკაციას და მის პიროვნულ თვისებებს.
17. რესპოდენტთა უმრავლესობის აზრით არ არსებობს განსხვავება საკრებულოს ქალი და კაცი დეპუტატების საქმიანობის სფეროებს შორის მაგრამ, თითქმის ყველა რესპოდენტმა დაასახელა და განაცალკევა საქმიანობის სფეროები, სად არის „მისაღები“ ქალის საქმიანობა და სად არა.
18. ინტერვიუს დროს რიგ შემთხვევაში აღინიშნება ქალთა წარმომადგენლების დადებითი როლი პოლიტიკურ დეპოლარიზაციაში და თანამშრომლობაზე ორიენტირებულ საქმიანობაზე „მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური მიკუთვნებულობისა“.

კვოტების მექანიზმი ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე

საარჩევნო კანონმდებლობა ითვალისწინებს გენდერული კვოტების მექანიზმს ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოების დაკომპლექტებისას[13]. 2021 წლის რეფორმამ შეცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პროპორციულ სიებში სქესთა თანაფარდობა. ცვლილების მიხედვით, პარტიულ სიაში ყოველი სამი კანდიდატიდან ერთი მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. ამით გაუარესდა სტანდარტი, რომელიც პარტიებს ავალდებულებს სიაში ყოველი მეორე კანდიდატი განსხვავებული სქესის ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ „ორიდან ერთი“ თანაფარდობით პარლამენტმა კვოტა 2020 წლის ივლისში დაამტკიცა, ხოლო 2021 წლის ივნისში იგი შემცირდა „სამიდან ერთამდე“, ამგვარად, „ორიდან ერთი“ კვოტის ამოქმედება თვითმმართველობის არჩევნებზე, პრაქტიკულად, ვერ მოესწრო.

2021 წლის არჩევნებამდე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებმა დაგვანახა გენდერული კვოტირების მექანიზმში არსებული ხარვეზი, რაც პარტიების მიერ სასწრაფოდ იყო კაცების სასარგებლოდ გამოყენებული და შეძლეს ამ მოთხოვნის გვერდის ავლა. შესაბამისად, საჭირო გახდა კანონში არსებული ხარვეზის დარეგულირება. 2021 წლის ცვლილებით განისაზღვრა ჩამკეტი მექანიზმი შემდეგი განმარტებით: თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება, მის ადგილს 2 კვირის ვადაში იკავებს მისი ადგილმონაცვლე, იმავე სქესის წარმომადგენელი. თუ წარდგენილ პარტიულ სიაში იმავე სქესის საკრებულოს წევრობის კანდიდატი აღარ არის, მანდატი უქმდება.

2021 წლის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე პოლიტიკურმა პარტიამ „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილობრივ დონეზე გენდერული კვოტირების სისტემა და ჩამკეტი მექანიზმი, რომელიც იმავე სქესის ადგილმონაცვლე კანდიდატის არარსებობის შემთხვევაში მანდატის გაუქმებას ითვალისწინებდა[14] გაასაჩივრა. სასამართლომ დაადგინა, რომ სარჩელიდან არ იკვეთებოდა

[13] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 203-ე მუხლის მე-2 და მე-8 ნაწილები ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2602687?publication=0

[14] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 21 ოქტომბრის №3/2/1647 განჩინება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის», ნინო თოდრია, მართა ქარდავა, ნინო ორდენიძე და სხვები (სულ 12 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ისეთი არგუმენტი, რომელიც მას კვოტირების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნის საფუძვლიანობაში დაარწმუნებდა და მოსარჩელე მხარის პოზიცია დაუსაბუთებლად მიიჩნია[15].

ქალთა წარმომადგენლობა ადგილობრივი არჩევნების შედეგები

2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებში, სავალდებულო გენდერული კვოტების მექანიზმის შედეგები პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე რეგისტრირებული 20,623 კანდიდატიდან 8,766 იყო ქალი, რაც საერთო რაოდენობის 42.51%-ია , მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით წარდგენილი 2,771 კანდიდატიდან კი - 488 (17.61%) .

5 თვითმმართველი ქალაქის მერობის 40 კანდიდატიდან მხოლოდ 7 იყო ქალი (17.5%), ხოლო 59 თვითმმართველი თემის მერობის 199 კანდიდატიდან - 18 - ქალი (9.05%).

რაც შეეხება შედეგებს, საქართველოს მასშტაბით საკრებულოს პროპორციული სისტემით არჩეული 1,404 წევრიდან 441-ია ქალი (31.4%), ხოლო მაჟორიტარული სისტემით არჩეული საკრებულოს 664 წევრიდან - მხოლოდ 50 (7.5%). 5 თვითმმართველი ქალაქიდან ერთმა მერობის კანდიდატმა ქალმა გაიმარჯვა, ხოლო 59 თვითმმართველი თემიდან - ორმა. (იხ. დიაგრამა #1)

დიაგრამა 1

[15] იქვე, II-48.

ხუთ მიზნობრივი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კერძოდ საკრებულოების ქალთა წარმომადგენლობა 2021 წლის მონაცემებით არის შემდეგი: ბოლნისის მუნიციპალიტეტში ქალთა წარმომადგენლობამ 33% შეადგინა, რაც წინა მოწვევასთან შედარებით 13% -ით მეტი; ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქალთა წარმომადგენლობა 30%-ს შეადგენს, რაც წინა მოწვევასთან შედარებით 11%-ით მეტია; ხარაგაულის 33.3% შეადგინა, რაც წინა მოწვევასთან შედარებით 5% მეტია; ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ქალთა წარმომადგენლობამ 31% შეადგინა, რაც წინა მოწვევასთან შედარებით 17% მეტია; ქედის მუნიციპალიტეტში ქალთა წარმომადგენლობამ 14% შეადგინა, რაც წინა მოწვევასთან შედარებით 10% გაიზარდა. (იხ. დიაგრამა #2)



დიაგრამა 2

სამიზნე მუნიციპალიტეტების მონაცემები 2021 წლის არჩევნების შედეგად

ბოლნისის მუნიციპალიტეტი

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, პროპორციული წესით არჩეულ 24 საკრებულოს წევრს შორის მხოლოდ 8 არის ქალი, რაც წარმომადგენლობით ორგანოში საკრებულოს წევრების საერთო რაოდენობის 33%-ს წარმოადგეს. ბოლნისის წინა მოწვევის საკრებულოში ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებელი 20%-ს შეადგენდა. მაჟორიტარული წესით, არცერთი ქალი არ არის არჩეულა. მუნიციპალიტეტის საკრებულოში 12 მაჟორიტარიდან ყველა კაცია. (იხ. დიაგრამა #3)



დიაგრამა 3

ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მიუხედავად, ბოლნისის მუნიციპალიტეტში ქალები პოლიტიკურ თანამდებობებზე ნაკლებად არიან წარმოდგენილი 18.1% ქალი. საკრებულოს თავჯდომარე კაცი, სამი მოადგილიდან ერთი ქალი (33.3%); 5 კომისიის თავჯდომარე 1 ქალი (20%); არცერთი ქალი ფრაქციის თავჯდომარე.(იხ.დიაგრამა #4).



დიაგრამა 4

ხაშურის მუნიციპალიტეტი

2021 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგად, ხაშურის საკრებულოში, 8 ქალი გახდა საკრებულოს წევრი, აქედან 1 ქალი მაჟორიტარული წესით იყო არჩეული, ხოლო 7 პროპორციული წესით. შედეგად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქალთა წარმომადგენლობა 30%-ს შეადგენს, რაც წინა მოწვევასთან შედარებით 11%-ით მეტია. (იხ. დიაგრამა #5).



დიაგრამა 5

პოლიტიკურ თანამდებობებზე 31.25% ქალია: საკრებულოს თავჯდომარე არის ქალი; საკრებულოს თავჯდომარის 3 მოადგილიდან არც ერთი არ არის ქალი; 5 კომისიის თავჯდომარეს შორის ორი ქალია(40%); ფრაქციის თავჯდომარეებს შორის 1 ქალია (33.3%) და 2 კაცი. (იხ. დიაგრამა #6).

დიაგრამა 6

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი

2021 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგად, ხარაგაულის საკრებულოში, 11 ქალი გახდა საკრებულოს წევრი, აქედან 4 - ქალი მაჟორიტარული წესით იყო არჩეული, ხოლო 7 - პროპორციული წესით. შედეგად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქალთა წარმომადგენლობა 33.3%-ს შეადგენს, რაც წინა მოწვევასთან შედარებით 5%-ით მეტია. (იხ. დიაგრამა #7).

დიაგრამა 7

საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირები 16.6 % (2) ქალი: საკრებულოს თავჯდომარე არის ქალი; საკრებულოს თავჯდომარის 3 მოადგილიდან არცერთი არ არის ქალი; კომისიის თავჯდომარეებს შორის 1 ქალი (20%); ფრაქციის თავჯდომარეებს შორის არცერთი ქალი. (იხ. დიაგრამა #8).



დიაგრამა 8

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, ზუგდიდის საკრებულოს 45 წევრს შორის 14 წევრია ქალი, რაც 31%-ს შეადგენს, რაც წინა მოწვევასთან შედარებით 17% მეტია. ზუგდიდის საკრებულოს 14 ქალი წევრიდან 12 პროპორციული წესით არის არჩეული, ხოლო 2 მაჟორიტარული წესით. უნდა აღინიშნოს, რომ ზუგდიდის საკრებულოს ქალი წევრების რაოდენობრივი მაჩვენებელი 7,3%-ით მეტია საქართველოს საერთო მაჩვენებელზე, რომელიც 23,7%-ს შეადგენს. (იხ. დიაგრამა #9)

დიაგრამა 9

ზუგდიდის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებს შორის 36.6 % ქალია. საკრებულოს თავჯდომარე და მისი არცერთი მოადგილე არ არის ქალი; კომისიის თავჯდომარეებს შორის 2 (60%) ქალია; ფრაქციის თავჯდომარეებს შორის 1 (33.3%) ქალი.(იხ. დიაგრამა #10)

დიაგრამა 10

ქედის მუნიციპალიტეტი

საკრებულოს 21 წევრს შორის 3 წევრია ქალი, რაც საერთო რაოდენობის 14,2 %-ს შეადგენს. რაც წინა მოწვევასთან შედარებით 10% გაიზარდა. ქედის საკრებულოს 3 ქალი წევრიდან ყველა პროპორციული წესით არის არჩეული, არცერთი მაჟორიტარი არ არის ქალი. ქედის საკრებულოს ქალი წევრების რაოდენობრივი მაჩვენებელი 8,5%-ით ნაკლებია საქართველოს საერთო მაჩვენებელზე, რომელიც 23.7%-ს შეადგენს (იხ. დიაგრამა #11).



დიაგრამა 11

ქედის საკრებულოში პოლიტიკურ თანამდებობაზე არცერთი ქალი არ არის წარმოდგენილი (იხ. დიაგრამა #12).



დიაგრამა 12

ქალი პოლიტიკოსები ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკაში

რესპონდენტთა პოლიტიკური გამოცდილება

რესპოდენტებს პოლიტიკაში ყოფნის სხვადასხვა გამოცდილება აქვთ. განსხვავდება მათი პარტიაში თუ საკრებულოში ყოფნის ხანგრძლივობა. ზოგიერთი მათგანი კი პარტიასა და საკრებულოში დაახლოებით ერთდროულად მოვიდა. ასევე განსხვავებულია მათი პროფესიული განვითარების გზა. რესპოდენტებს შორის არიან (ყოფილი და მოქმედი) სკოლის დირექტორები, ქალაქის მერი, სკოლის პედაგოგები, ლექტორები, ექიმი, ჟურნალისტი, ფინანსისტი, ეკონომისტი, კერძო ბიზნესის წარმომადგენლები. ისინი პოლიტიკაში ერთმანეთისგან განსხვავებული მიზეზებით მოვიდნენ თუმცა ბევრი საერთო აქვთ ერთმანეთთან. მიზეზები პირობითად შემდეგნაირად შეგვიძლია დავყოთ:

- ***შევიწროება ხელისუფლების მხრიდან, ბრაზი და განაწყენება მათ საქმიანობაზე***
  რესპოდენტების ნაწილი პოლიტიკაში მოსვლის მიზეზად „გაბრაზებას“ ასახელებს. ერთ-ერთი გამოკითხულისთვის გაბრაზების მიზეზი გახდა გირგვლიანის საქმე, რამაც მასში პროტესტი გამოიწვია. ზოგს პირადად შეეხო „რეჟიმი“, და საკუთარი ოჯახის წევრების „შევიწროებამ“ გადააწყვეტინა პოლიტიკური გააქტიურება. გამოკითხულების შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც თავიანთ ყოფილ პოზიციებზე ისეთი ულტიმატუმები წაუყენეს, რომ იძულებულები გახდნენ დაეტოვებინათ სამსახური.

უსამართლობა პირად თუ გარშემომყოფების ცხოვრებაში, ადრეც და ახლაც იყო და არის ხშირად მიზეზი ცვლილების აუცილებლობისა. იცვლებიან მთავრობები, თუმცა, მათი ქმედებები ხშირად ხდება განაწყენებული, გაბრაზებული და შევიწროებული ადამიანების პოლიტიკაში მოსვლის მიზეზი.

- ***შემოთავაზება/მოწვევა პარტიის სახელით***
  რესპოდენტების ნაწილისათვის პოლიტიკაში მოსვლის მიზეზი გახდა პოლიტიკური პარტიების მხრიდან შეთავაზება და მათი მოწვევა პარტიაში. ეს ადამიანები ძირითად შემთხვევებში თავიანთი საქმიანობით ცნობილები და პატივ საცემები არიან. მაგალითად, ერთ-ერთი გამოკითხული ქალი, გახარია საქართველოს პარტიიდან, მეცნიერებათა დოქტორია და ლექტორი. ასევე რესპოდენტებს შორის არის კერძო ბიზნესის მფლობელი, რომელიც ერთიან ნაციონალურ მოძრაობას 2021 წელს შეუერთდა. აგრეთვე, 2021 წელს შეუერთდა ყოფილი ლექტორი ქართული ოცნების პარტიას, რომელიც 2012 წლიდან პარტიის მხარდამჭერი იყო. რესპოდენტი, რომელიც 2017 წლიდან აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდა, 2021 წელს კი მაჟორიტარობის კანდიდატი გახდა ამბობს:
  „მაჟორიტარობა, განსხვავებული გამოცდილებაა. ბევრ სტრუქტურაში მიმუშავია, სწორედ, მოსახლეობისგან წამოვიდა ინიციატივა, რომ მათი მაჟორიტარი ვყოფილიყავი, რადგან მათთან ყოველთვის მქონდა კომუნიკაცია. ყოველთვის ვეხმარებოდი ჩემი მოსწავლეების ოჯახებს, თუ ვინმეს რაიმე პრობლემა ჰქონდა და ამ ყველაფრის გათვალისწინებით თემმა გამოთქვა სურვილი სტატუსი მქონოდა და უკეთ შემძლებოდა მათი პრობლემების საკრებულოს დონეზე მიტანა და დახმარების გაწევა“.

რესპოდენტების ნაწილის პოლიტიკაში მოსვლა პარტიის მხრიდან გაკეთებულმა პრაგმატულმა შეთავაზებამ, არსებული რეპუტაციის, პროფესიონალიზმის, გაკეთებული საქმეების მქონე ქალები და მათი გულშემატკივრები, გადაექციათ პარტიის წევრებად და მომხრეებად.

პოლიტიკოსების გამოწვევები და მათი გავლენა პოლიტიკაში

როგორც უკვე აღვნიშნეთ რესპოდენტებს განსხვავებული გამოცდილებები აქვთ. მათი პოლიტიკური გზაც განსხვავებულია, თუმცა ზოგიერთი გამოკითხულის აზრით ეს სულაც არ არის სქესიდან გამომდინარე. ერთ-ერთი რესპოდენტი კაცის აზრით „შესაძლოა ვერც კაცმა გაიკეთოს და ვერც ქალმა კარიერა. ყველა ადამიანი ინდივიდუალურია“. რესპოდენტი ქალების ნაწილი, თავის სქესს არ აღიქვამს დაბრკოლებად და მიიჩნევს, რომ ბევრი საკითხის გადაჭრაში დაეხმარა ის, რომ ქალია და ყოველთვის პოულობს თანამოაზრეებს მუშაობის პროცესში. ერთ-ერთი ქალი რესპოდენტი ამბობს: “რა საქმესაც მოვკიდე ხელი და მოვინდომე, გულით მივუდექი, ყველაფერი გამომივიდა. არ ვფიქრობ, რომ რაიმე წინააღმდეგობა მქონია როგორც ქალ პოლიტიკოსს“. თუმცა, რესპოდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ქალს მაინც გაცილებით დიდი ძალისხმევა ჭირდება საკითხის მოსაგვარებლად, მისთვის ზოგჯერ ისიც კი პრობლემაა, რომ „მოუსმინონ“ თუმცა იქვე აღნიშნეს, რომ ქალთა წარმომადგენლობის გაზრდამ საკრებულოებში, ნაწილობრივ ეს პრობლემა მოაგვარა.

განსხვავებულია დამოკიდებულება სამუშაო დროსთან მიმართებაში. „ნებისმიერ დროს როცა მოქალაქე გვირეკავს მაშინვე გავდივართ“. მაშინ როცა ერთი დეპუტატი 24 საათის განმავლობაში ხელმისაწვდომია, მეორე მიიჩნევს რომ, ნებისმიერი დამატებითი სამუშაო საათი, ოჯახისთვის მოკლებული დროა. როგორც ქალი, ის არავის გაუთავისუფლებია იმ პასუხისმგებლობისგან, რომელსაც ოჯახზე ზრუნვა ჰქვია. სწორედ ორმაგი შრომა არის ქალი პოლიტიკოსისთვის ყველაზე დიდი სირთულე, რაც კაცი რესპოდენტების შემთხვევაში არ იკვეთება. ქალს უწევს „ორმაგი ძალისხმევის ჩადება ყველგან და ყველაფერში“ და ეს გამოწვეულია „ორმაგი სტანდარტით ქალების მიმართ“.

ასევე განსხვავებულია დაბრკოლებები, რომელებსაც ქალები და კაცები „კავკასიური მენტალიტეტის“ გამო ხვდებიან. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ქალი პოლიტიკოსების მიმართ საზოგადოება ბევრად კრიტიკულია, და ზოგადად წარმატებული ქალები ხშირად ხდებიან ნეგატიური განხილვის ობიექტები. როცა ქალი პოლიტიკაში მიდის, მას განსაკუთრებული და განსხვავებული პასუხისმგებლობა ეკისრება საზოგადოების მხრიდან, მისი ყოველი სიტყვა და საქმე იზომება და ის მუდმივი დაკვირვების ქვეშ არის მოქცეული. რესპოდენტი ქალების აზრით საზოგადოების ასეთი დამოკიდებულება ზღუდავს და აფერხებს მათ საქმიანობასა და განვითარებას. სამწუხაროდ, აშკარაა, რომ პოლიტიკური ცხოვრება ისეა მოწყობილი, როგორც კაცებს სურდათ. შესაბამისად ის კაცის გადმოსახედიდან მოქმედებს და ნაკლებად ითვალისწინებს ქალს.

„საქართველოში ქართული, კავკასიური მენტალიტეტის პრობლემის გამო შეიძლება ქალებს გაუჭირდეთ ამ ეტაპზე პოლიტიკაში ყოფნა. იმ ფაქტის მიუხედავად, რომ დღეს წარმოდგენილი ქალები ძლიერები არიან“.

რესპოდენტების ნაწილისთვის მთავარი დაბრკოლება სწორედ პოლიტიკოსი კაცები არიან. მათი აზრით, კაცები ცდილობენ ქალები გვერდზე გაწიონ და ჩამოაშორონ პოლიტიკურ საქმიანობას. ზემოთ აღნიშნული დაბრკოლებების სიმძაფრე კარგად ჩანს ერთი ქალი რესპოდენტის მონაყოლიდან, სადაც ის იხსენებს შემთხვევას როცა მას, zoom შეხვედრის დროს, კოლეგა კაცმა დეპუტატმა თხოვა კითხვა დაესვა და იქვე განმარტა „მე არ ვიცი რამდენად ჭკვიანური კითხვაა და ჩემთვის უხერხულია, იქნებ შენ იკითხო. ქალს ეპატიება რაც არ უნდა სულელური რამ იკითხოსო.“

ინტერვიუებიდან ჩანს, რომ მიუხედავად გაზიარებული აზრისა, რომ პოლიტიკურ გზაზე სქესი არ განსაზღვრავს დაბრკოლებებს, იკვეთება აღიარების პრობლემა. რესპოდენტები ხშირად თავადვე გამორიცხავენ თავიანთ მოსაზრებას. თითქოს ერთი შეხედვით ყველაფერი თანასწორია, მაგრამ როგორც კი საუბარი ღრმავდება ისმის ურთიერთსაპირისპირო აზრები.

კვოტების მექანიზმის მნიშვნელობა

კვლევამ აჩვენა, რომ 2021 წლის არჩევნებში ამოქმედებული სავალდებულო გენდერული კვოტების მექანიზმი, მნიშვნელოვანად დაეხმარა ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის მაჩვენებელის გაზრდას. ზოგადად, ყველა რესპოდენტი მიესალმება სავალდებულო კვოტების მექანიზმის ამოქმედებას.

გამოკითხულთა ნაწილის აზრით, ეს არის დროებითი სპეციალური საშუალება ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად, პოლიტიკურ პარტიაში მათ წარმოსაჩენად და ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკაში მათი რესურსის გამოსაყენებლად. რამდენიმე რესპოდენტმა გულისწყვეტით აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ქვეყანაში არ იდგეს სავალდებულო კვოტების აუცილებლობა.

„მე მომხრე ვარ კვოტების კანონის. ეს არის დროებითი ღონისძიება, რომელიც გაზრდის ქალთა ჩართულობას პოლიტიკაში. მისმა ამოქმედებამ გაზარდა საკრებულოში ქალების წარმომადგენლობა. თუ ადრე 4 ქალი იყო საკრებულოში, ახლა არის 8 ქალი, და აქედან 4 გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზეა, რომ არა კვოტები მე აქ არ ვიქნებოდი“.

რესპოდენტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ სავალდებულო გენდერული კვოტების მექანიზმის ამოქმედების გარეშე ბევრი ქალი ვერ მოხვდებოდა პოლიტიკური პარტიის პროპორციულ სიაში და შესაბამისად ვერც საკრებულოში. რამდენიმე ქალი რესპოდენტის აზრით, სავალდებულო კვოტები საჭირო იყო საკრებულოებში წარმოდგენილი უმრავლესობა ქალი დეპუტატისთვის. თუმცა მათი აზრით, არსებობენ ისეთი ქალი დეპუტატები, რომლებიც კვოტების გარეშეც მოხვდებოდნენ პარტიის საარჩევნო სიაში.

გამოკითხულთა ნაწილის აზრით, კვოტების მექანიზმმა ხელი შეუწყო ქალის უფლებების დაცვას და მათ გამოჩენას პოლიტიკურ პარტიებში. საკრებულოებში მეტად ხილვადები გახდენენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ქალები. „მე კვოტებით მოვხვდი, ისე როგორც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალებიც მოხვდნენ საკრებულოში. ქალები უფრო სხვა კუთხით ვუყურებთ საკითხებს, თუმცა პოლიტიკური გადაწყვეტილების პოზიციებზე თითქმის არ ვართ წარმოდგენილო და შესაბამისად ჩართული მაგრამ კარგია, რომ ჩვენი ხმა ისმის. ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარის მოადგილეა ეთნიკური უმცირესობის ქალი, რაც უკვე წარმატებაა“.

განსაკუთრებით პოზიტიურია ერთი რესპოდენტის შეფასება საკრებულოში ქალთა საქმიანობაზე. ის აღნიშნავს, რომ საკრებულოებში ქალები ქმნიან ამინდს და ახალ დღის წესრიგს აყალიბებენ. სხვა რესპოდენტებთან შედარებით სკეპტიკურია ერთ-ერთის მოსაზრება. ის ფიქრობს, რომ ქალების უფლებების გაზრდა კაცების უფლებების ხარჯზე ხდება. როცა კანონი განსაზღვრავს, რომ სამ ადამიანს შორის ერთი ქალი უნდა იყოს ეს იძულებითი ვალდებულებაა, რადგან შესაძლებელია მოაზრებული ყოფილიყო სამი კაცი. მისთვის ეს პირობითი ცნებაა და ყველაფერი დამოკიდებულია ვინ გამოადგება მუნიციპალიტეტს. თუმცა, მისივე აზრით ეს ყველაფერი სწორედ იმიტომ ხდება, რომ „ქალების როლი ნაკლებად იყო წარმოჩენილი პოლიტიკაში და საზოგადოებრივ საქმიანობაში, ამიტომ ნამდვილად დადებითად ვარ განწყობილი ამ კანონის მიმართ“.

კვოტების მექანიზმის გავლენა საკრებულოების საქმიანობაზე, რესპოდენტებმა შემდეგნაირად შეაფასეს:

- გაიზარდა ქალთა წარმომადგენლობა
- გამოჩნდა ახალი სახეები
- წინ წამოიწია ახალი სოციალური თემები - ბავშვები, ქალები, ეთნიკური უმცირესობები და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფები

- გაჩნდნენ თანამოაზრეები (ქალები ქალების მხარდასაჭერად)
- გაიზარდა კონკურენცია, შესაბამისად გამოწვევების მიმართ ღიაობა

„გენდერული კვოტების კანონმა ჩვენი მუნიციპალიტეტის მაგალითზე ძალიან კარგად იმუშავა, ჩვენი ქალი პოლიტიკოსები ძალიან გონიერი და ავტორიტეტული ადამიანები არიან. კარგად უძღვებიან თავიანთ სამოქმედო „არეალს“. მაჟორიტარი ქალი გვყავს. სიით გასული ქალები თავისუფლები არ არიან იმოქმედონ მუნიციპალიტეტში, შეზღუდვა ნამდვილად აქვთ. თუმცა, ყველაფერი უბრალოდ მონდომებაზეა დამოკიდებული.“

რესპოდენტებს შორის იყვნენ დეპუტატები, რომლებმაც ამ საკითხზე საუბრისგან თავი შეიკავეს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მათთვის პარტიაში ან თვითმმართველობის პოლიტიკაში გავლენის შეფასება შეუძლებელია იმ მცირე დროის გამოცდილებით, რომელიც მათ აქვთ საკრებულოში.

ქალის და კაცის საქმიანობის სფეროები

სოციალური, განათლებისა და კულტურის თემები იმ საკითხებად დასახელდა ინტერვიუებში, რომელშიც ქალები კაცებზე უკეთ ერკვევიან - „სოციალურ საკითხებში ბადალი არ გვყავს ქალებს“. კაცები კი, როგორც იკვეთება საუბრებში, უფრო კარგად ფლობენ თემებს, როგორებიცაა ფინანსები და ინფრასტრუქტურა - „სადაც ფიგურირებს ცემენტი, ხრეში, მოასფალტება, ხიდები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები“.

დაფიქსირდა მოსაზრება, რომ ყველამ ის უნდა აკეთოს, რაც უკეთ გამოსდის. გენდერული თანასწორობა კი თითქოს დაბრკოლებაა ამ აზრისთვის. ერთ-ერთი კაცი რესპოდენტისთვის ეს ხელოვნური ჩარევა და გადანაწილებაა, სადაც ყველა იმას არ ან ვერ აკეთებს რის კეთებაც უკეთესად გამოსდის და იცის „მაგალითად, ბაღებში 90% ქალია მმართველი და ძალიან კარგად უძღვებიან საქმიანობას. ვის რის შესაძლებლობაც აქვს იმის მიხედვით უნდა იმოქმედოს და არა იმიტომ ქალია თუ კაცი, ამის მიხედვით უნდა გახდნენ ლიდერები რაც კარგად გამოსდით. პრობლემები არსებობს, ქალებსაც და კაცებსაც აქვთ პრობლემები. არ არის ეს დაბალანსებული, მაგრამ რაც ბუნებრივად ბალანსდება მისაღებად მიმაჩნია, მაგრამ ხელოვნური დაბალანსება მიუღებელია. ამაში კვოტების კანონს არ ვგულისხმობ, იმიტომ რომ გაცილებით მეტი სიკეთე მოუტანა ქალების ჩართულობამ მუნიციპალიტეტს“.

ქალი პოლიტიკოსების ინიციატივები

გამოიკვეთა საკრებულოში მათი მონაწილეობით და ინიციატივით განხორციელებული აქტივობები. ერთმა რესპოდენტმა დაასახელა მუნიციპალიტეტის დღის ცენტრი სადაც დადიან შშმ პირები და რომელშიც არის ასაკობრივი შეზღუდვა. სწორედ, მისი ინიციატივაა ამ შეზღუდვის მოხსნა, რადგან თავად შშმ პირები დაინტერესებული არიან გააგრძელონ ამ დღის ცენტრში სიარული და საქმიანობა. ასევე მნიშვნელოვანი ინიციატივა იყო როცა რესპოდენტმა საკრებულოში დააყენა საკითხი, გადაწყვეტილებების მიღების დროს ორივე სქესის წარმომადგენლის მონაწილეობის აუცილებლობის, წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილება არ უნდა ჩაითვალოს ლეგიტიმურად. მისივე ინიციატივით მუნიციპალიტეტში, მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით „მოქალაქეთა ელექტრონული პეტიციის“ ფორმის დანერგვა იყო.

საკრებულოში განხორციელებულ საქმიანობაზე და ინიცირებულ საკითხებზე საუბრისას წინა პლანზე წამოიწია დედების და ბავშვების დახმარების საკითხებმა, რომლებიც დედათა და ბავშვთა სახლში ცხოვრობდნენ და რომ მათი დახმარება დასაქმების ხელშეწყობით განხორციელდა. ასევე მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის

პრობლემებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სარეაბილიტაციო ცენტრის შესაქმნელად და გრძელდება ამ მიმართულებით საქმიანობა.

მნიშვნელოვანი საკითხი იყო შშმ პირთა დასაქმების პროგრამის შემუშავება და რომელიც მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში უკვე აისახა.

ქალი დეპუტატის ინიციატივით მუნიციპალიტეტში გაიხსნა ქალთა ოთახი. ასევე მისი ინიციატივაა მცირეწლოვანი შვილების დედებს ძიძების სერვისის მიწოდების ხელშეწყობა, „ერთ - ერთ შეხვედრაზე ქალებმა განაცხადეს, ვერ ვართ აქტიურები რადგან ბავშვის დამკავებელიც კი არ გვყავსო. სწორედ აქედან გამიჩნდა იდეა, მათი პრობლემის გადასაჭრელად“ და აქედან გაჩნდა იდეა მათი დახმარების.

ასევე რესპოდენტთა ინიციატივებს შორისაა:

- ქალთა დასაქმება
- ხანდაზმულებთან მუშაობა
- სოფლად მცხოვრები ქალების საჭიროებების შესწავლა და მხარდაჭერა
- ახალგაზრდების გასართობი სივრცეების შექმნა
- სახელმწიფო ენის შესწავლის პროგრამები ეთნიკური უმცირესობების ზრდასრული ქალებისთვის
- სპორტული ღონისძიებები შშმ ქალებისათვის

ერთ - ერთი დეპუტატის სურვილია „ახლა, მინდა ინიცირება პარა სპორტსმენების აქტივობების. გვყავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგოები, რომლებსაც აქვთ სურვილი მონაწილეობის მიღების.“

ოჯახი და აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომა

გამოკითხულთა შორის, მათი ყველაზე დიდი მხარდამჭერი, მათი ოჯახის წევრები არიან. თითქმის უმეტესობისთვის ოჯახური მოვალეობები შეთავსებულია პოლიტიკური კარიერის კეთებასთან ასევე საოჯახო გადაწყვეტილებები ერთობლივად მიიღება ოჯახის სრულწლოვანი წევრების სრული მონაწილეობით. თუმცა, ხშირ შემთხვევაში „ზედმეტი დატვირთვის ხარჯზეც ხდება ეს ყველაფერი.“ პირდაპირი ზრუნვა, საშინაო საქმეები, როგორიცაა დალაგება-დასუფთავება, საჭმლის მომზადება, სარეცხის გარეცხვა, პროდუქტების საყიდლად სიარული და ა. შ. და თუ ამ საქმიანობისგან მეტნაკლებად განთავისუფლებულია რესპოდენტი მას ამ საქმიანობაში ეხმარება უმეტეს შემთხვევაში დედა და ოჯახის წევრი ქალები, იშვითი გამონაკლისის სახით გვხვდება მეუღლე. *სამსახურის* და *საოჯახო* საქმიანობის განხორციელება კვლავ მხოლოდ, ქალის საქმედ არის მიჩნეული.

„ტრადიციული ოჯახი ვართ, ქალები ოჯახურ საქმეებს აქცევენ ყურადღებას, თუმცა, გარე პერიმეტრზეც აქტიურდ არიან ჩართული, ყველა ოჯახის წევრი მუშაობს “.

რაც შეეხება დასვენებას და თავისუფალ დროს რესპოდენტთა დიდმა უმრავლესობა განაცხადა, რომ მათ არ აქვთ ასეთი დრო. იშვიათი გამონაკლისია როცა აქვთ შესაძლებლობა მეზობლებთან და მეგობრებთან კონტაქტის ან უბრალოდ დასვენების.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს მათ უმრავლესობა ჯერ არ ფიქრობს ამ საკითხზე, მეორე ნაწილს გადაწყვეტილი აქვს, რომ ვადის დასრულების შემდეგ დაუბრუნდება თავის ძველ საქმიანობას. ხოლო ნაწილი თავის საქმიანობას ხედავ იქ სადაც დღეს არის წარმოდგენილი.

დასკვნა

ფაქტია, რომ საქართველოში გენდერულმა კვოტირებამ, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, ქალების წარმომადგენლობის გაზრდა გამოიწვია. კერძოდ, 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების დროს, სავალდებულო გენდერული კვოტების მექანიზმმა, საქართველოს მასშტაბით, ქალთა წარმომადგენლობის 23% გაზარდა, რაც 2017 წლის არჩევნების შედეგად მიღწეულ ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებელს 10%-ით აღემატება. მიზნობრივ ხუთ მუნიციპალიტეტში 2021 წლის არჩევნების შედეგით ქალების წარმომადგენლობა შემდეგია: ბოლნისი (33%), ხაშური (30%), ხარაგაული (33.3%), ზუგდიდი (31%) და ქედა (14%).

ქალების წარმომადგენლობის ზრდის მიუხედავად, **ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე არჩეულ ქალ დეპუტატთა მაჩვენებელი კვლავ დაბალია.**

გენდერული პოლიტიკის ფორმირება და განხორციელება, ადგილობრივ დონეზე, კვლავ გამოწვევაა. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ფარგლებში გამოკითხული დეპუტატების აბსოლუტურ უმრავლესობას უმაღლესი განათლება აქვს და ზოგ მათგანს მინიჭებული აქვს აკადემიური ხარისხი (2 ქალი), **ცნობიერება ადგილობრივი და საერთაშორისო ვალდებულებების, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის მიმართულებით დაბალია.**

გენდერულ კვოტების მექანიზმთან დაკავშირებით, არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები იკვეთება. საკრებულოს წევრი ქალების უმრავლესობას მიაჩნია, რომ მათი წარმომადგენლობის გაზრდა, სწორედ გენდერულმა კვოტების მექანიზმმა განაპირობა, ქალი დეპუტატების მხოლოდ მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ წარმომადგენლობით ორგანოში მანდატს „ხელოვნური ჩარევის“ გარეშეც მიიღებდა.

გამოვლინდა დეპუტატების პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვის მოტივაციის სამი ძირითადი მიზეზი - წინა ხელისუფლებებზე „განაწყენება“, პარტიული სიით პირველი პოლიტიკური გამოცდილების შესაძლებლობა და პოლიტიკაში ყოფნის გამოცდილება.

გამოვლინდა ქალი- პოლიტიკოსის კარიერის ხელისშემშლელი ფაქტორები - საზოგადოების განწყობა ქალი პოლიტიკოსების მიმართ, გენდერული სტერეოტიპები და არასაკმარისი დრო, რომელიც განპირობებულია ქალზე დაკისრებული საოჯახო საქმეებით, ოჯახის წევრებზე ზრუნვით და სხვ.

იკვეთება აზრიც, რომ **პოლიტიკურ კარიერაში წარმატება, უმთავრესად, ადამიანის განათლებასა და კვალიფიკაციას, მის პიროვნულ თვისებებს უკავშირდება და სქესზე დამოკიდებული არ არის.**

მეორეს მხრივ, რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ **ქალის კარიერა მაინც არის დამოკიდებული საზოგადოების მხირდან მის აღიარებაზე, ხოლო კაცის შემთხვევაში ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.**

აღსანიშნავია, რომ **საქმიანობის სფეროების მიხედვით, ქალი და კაცი დეპუტატებისგან განსხვავებული მოლოდინები აქვთ.** ერთის მხრივ, პოლიტიკოსების უმრავლესობას მიაჩნია, რომ არ არსებობს განსხვავება საკრებულოს ქალი და კაცი დეპუტატების საქმიანობის სფეროებს შორის, თუმცა მეორეს მხრივ, თითქმის ყველამ აღნიშნა საქმიანობის სფეროების გენდერული სეგრეგაცია და კაცისთვის მისაღებ სფეროებად დასახელდა: საფინანსო-ეკონომიკური, სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფერო, ბიუჯეტი, ქონებრივი და მიწით სარგებლობის საკითხები, ასევე ინფრასტრუქტურული მიმართულება.

აღსანიშნავია, რომ, **ადგილობრივ დონეზე, ქალების წარმომადგენლობის გაზრდას არ მოყოლია პოლიტიკურ თანამდებობებზე მყოფი ქალების რიცხვის ზრდა არც საკრებულოებში და არც პოლიტიკურ პარტიებში**.

ზოგადად, აღინიშნა, რომ **სავალდებულო გენდერული კვოტირების მექანიზმის მიღება და ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა ადგილობრივ პოლიტიკაზე დადებითად აისახა,** ამასთან, საკრებულოში ქალი დეპუტატების რაოდენობის ზრდამ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები დააყენა პრიორიტეტად, როგორებიცაა შშმ ქალების საჭიროებები და მათი დასაქმება, გარემოს დაცვა, ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი გასართობი პარკების კეთილმოწყობა, სოფლის ინფრასტრუქტურის, სარწყავი და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია/მოწყობა, გარე განათების და შიდა გზების მოწესრიგება.

რესპოდენტებს მიაჩნიათ, რომ **სავალდებულო გენდერული კვოტირების მექანიზმმა საკრებულოებში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების რიცხვიც გაზარდა.** მათივე მოსაზრებით, **ქალების წარმომადგენლობის გაზრდამ, მიუხედავად მათი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებისა, პოლიტიკური დეპოლარიზაციის პროცესზე პოზიტიურად იმოქმედა** და ხელი შეუწყო თანამშრომლობაზე ორიენტირებულ საქმიანობას.

გამოიკვეთა პოზიტიური ტენდენცია, რომ რესპოდენტების მოსაზრებით, **ქალების წარმომადგენლობის გაზრდა, ხელს უწყობს საკრებულოს სხდომების უფრო პროფესიონალურად და მაღალი სტანდარტებით ჩატარებას. კვოტირების შედეგად, შეიცვალა ქალების მიმართ კაცების დამოკიდებულებაც, როგორც მუნიციპალიტეტებში, ასევე პოლიტიკურ პარტიებში.**

გენდერული კვოტირების მექანიზმის დაკავშირებით, იკვეთება როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური მიგნებები. გარკვეულწილად რესპოდენტები თანხმდებიან, რომ ქალების წარმომადგენლობის გაზრდამ კარგ ცვლილებებს ჩაუყარა საფუძველი. ამ პოზიტიური განწყობების ფონზე, საჭიროა საკანონმდებლო მექანიზმის დახვეწა, რათა ადგილობრივ პოლიტიკაში ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობა გარანტირებული გახდეს.

რეკომენდაციები

მნიშვნელოვანია:

1. გადაიხედოს სავალდებულო გენდერული კვოტების მექანიზმის პროცენტული მაჩვენებელი და დაუბრუნდეს 2020 წლის ჩანაწერს ყოველი მეორე განსხვავებული სქესი.
2. ქალთა წარმომადგენლობის სტაბილიზებისათვის სავალდებულო გენდერული კვოტების მექანიზმის კანონი შენარჩუნდეს გრძელვადიან პერსპექტივაში.
3. პოლიტიკურ თანამდებობებზე ქალთა წარმომადგენლობის წარდგენის მექანიზმის შემუშავების ხელშეწყობა პოლიტიკურ პარტიებსა და საკრებულოებში.
4. საკრებულოს დეპუტატების სქესის ნიშნით დაცალკევებული მონაცემების წარმოების კრიტერიუმების განსაზღვრა, მაგალითად: უმაღლესი განათლება და აკადემიური ხარისხის მონაცემების შეგროვების წარმოება.
5. საკრებულოს დეპუტატებისათვის, გენდერული ცნობიერების ასამაღლებლად გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო ვალდებულებების და კანონმდებლობის გაცნობა.
6. გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ხელშეწყობა საინფორმაციო, საგანმანათლებლო კამპანიების წარმოება.

7. კვოტების მექანიზმის შედეგების ქალთა წარმომადგენლობის ზრდის პოზიტიური შედეგების ხაზგასმა და ქალი დეპუტატების საქმიანობის წარმოჩენის ხელშეწყობა.
8. ქალთა და კაცთა პროფესიებისა და საქმიანობის არსებულ სტიგმასთან „ქალური“ და „კაცური“ - სტერეოტიპებთან საბრძოლველად საგანმანათლებლო კამპანიების წარმოება.
9. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა წარმოჩენა და პოლიტიკური კარიერის განვითარების ხელშეწყობა.
10. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების, შშმ პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობა, მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის და მცირე ბიზნესის განვითარებისთვის.
11. სოფლად მცხოვრები ქალების საჭიროებებზე განსაკუთრებული ყურადღების დათმობა.
12. ადგილობრივ ბიზნესთან თანამშრომლობა.

დანართი

კითხვარი 1

KVINFO - ქალთა გაძლიერება და სრულფასოვანი მონაწილეობა ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის განხორციელებაში
კვლევა ხორციელდება ქალთა საინფორმაციო ცენტრის ექსპერტის

მაია კუპრავა-შარვაშიძის მიერ

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმები

კითხვა	**კი**	**არა**	**ქვე-კითხვა**	**სულ**	**ქალი**	**კაცი**	**%**
1. შექმნილია მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო			1.1 მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების რაოდენობა				
2. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო მრავალპარტიულია			2.1 მმართველი პარტიის წევრთა რაოდენობა				
			2.2 ოპოზიციური პარტიის წევრთა რაოდენობა				
			2.3 წევრების რაოდენობა საკრებულოდან				
			2.4 წევრების რაოდენობა მერიიდან				
3. მუნიციპალურ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები არიან სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელები			3.1 არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების რაოდენობა				
			3.2 ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლების რაოდენობა				
			3.3 საინიციატივო ჯგუფების წევრთა რაოდენობა				
			3.4 სხვა				
4. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრია ქალთა ოთახის მენეჯერი							
5. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრია გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი							

6.	გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე	პოზიცია:			
7.	მუნიციპალიტეტს დამტკიცებული აქვს მუნიციპალური გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა			7.1 მუნიციპალური გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის მოქმედების წლები	.....
8.	გამოყოფილია თუ არა ბიუჯეტი მუნიციპალური გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის ?				,,,

1.	მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებული პირი				
6.1	აპარატის უფროსი				
6.2	სამსახურის ხელმძღვანელი				
6.3	განყოფილების უფროსი				
2.	საჯარო მოხელე				
1.	პროფესიული მოხელე				
2.	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი				
3.	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი				

				მუნიციპალიტეტის მერია		
	პოზიცია	**პარტიულობა**	**ქალი**	**კაცი**	**სულ**	**ქალი %**
1.	პოლიტიკური თანამდებობის პირები					
1.1.	მერი					
1.2	მერის მოადგილე					
2	მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებული პირები					
2.1	ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი					
2.2	სამსახურის ხელმძღვანელი					
2.3	განყოფილების უფროსი					
3.	საჯარო მოხელე					
4.	პროფესიული მოხელე					
5.	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი					
6.	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი					

ანგარიშების მოსმენა

1. როგორ და სად ვრცელდება ინფორმაცია ანგარიშების (მერის, საკრებულოს და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების ანგარიშები) შესახებ?

2. რა პერიოდულობით ხდება საკრებულოს ანგარიშების წარდგენა?

3. რა პერიოდულობით ხდება მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიშების წარდგენა?

4. იწარმოება თუ არა ანგარიშების წარდგენის - შეხვედრის ოქმები?

   კი
   არა

5. **გთხოვთ, მოგვაწოდოთ სქესის ნიშნით სეგრეგირებული ინფორმაცია ჩატარებული ოქმების მიხედვით, შემდეგი წლების შესაბამისად:**

წლები:	მონაწილეთა რაოდენობა სულ	ქალი	კაცი	ქალთა %
2021 წელი				
მერიის ანგარიშების ოქმები				
საკრებულოს ანგარიშების ოქმები				
მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიშების ოქმები				
2022 წელი				
მერიის ანგარიშების ოქმები				
საკრებულოს ანგარიშების ოქმები				
მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიშების ოქმები				

საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა

1. როგორ და სად ვრცელდება ინფორმაცია საკრებულოს/საკრებულოს კომისიების სხდომებში მონაწილეობის შესახებ?

2. რა პერიოდულობით ტარდება საკრებულოს/საკრებულოს კომისიების სხდომები?

3. იწარმოება თუ არა საკრებულოს/საკრებულოს კომისიების სხდომების ოქმები?
   კი
   არა

4. გთხოვთ, ჩამოთვალოთ ის საკითხები, რომლებიც განხილული იყო საკრებულოს/საკრებულოს კომისიების სხდომებში სხდომებზე?

5. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია ქალი წევრების მიერ დასმული საკითხები და რომელი საკითხი იქნა გათვალისწინებული მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმისას?

6. გთხოვთ, მოგვაწოდოთ სქესის ნიშნით სეგრეგირებული ინფორმაცია ჩატარებული ოქმების მიხედვით, შემდეგი წლების შესაბამისად:

წლები:	სხდომების რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა სულ	ქალი	კაცი	ქალი %	კაცი
2021						
2022						

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შეხვედრები

1. როგორ და სად ვრცელდება ინფორმაცია - გენდერული თანასწორობის საბჭოს შეხვედრების შესახებ (წევრების მობილიზაციისათვის)?

2. რა პერიოდულობით ტარდება გენდერული თანასწორობის საბჭოს შეხვედრები?

3. იწარმოება თუ არა შეხვედრის - გენდერული თანასწორობის საბჭოს შეხვედრების ოქმები?
   - კი
   - არა
4. გთხოვთ, ჩამოთვალოთ ის საკითხები, რომლებიც განხილული იყო მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შეხვედრებზე, ასევე გამოყოთ ქალი წევრების მიერ წამოჭრილი საკითხები?
5. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია ქალების მიერ დასმული რომელი საკითხი იქნა გათვალისწინებული მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვის დროს?
6. გთხოვთ, მოგვაწოდოთ სქესის ნიშნით სეგრეგირებული ინფორმაცია ჩატარებული შეხვედრების ოქმების მიხედვით, შემდეგი წლების შესაბამისად:

წლები:	სხდომების რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა სულ	ქალი	კაცი	ქალი%	კაცი%
2021 წელი						
2022 წელი						

დამატებით, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია:

მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობის შესახებ *(მათი ჩამონათვალი და საკონტაქტო ინფორმაცია)*

მოგვაწოდოთ ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული მედია საშუალების შესახებ *(მათი ჩამონათვალი და საკონტაქტო ინფორმაცია)*

მოგვაწოდოთ ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ *(მათი ჩამონათვალი და საკონტაქტო ინფორმაცია და რომელი ორგანიზაციები მუშაობენ ქალთა საკითხებზე)*

მადლობა თანამშრომლობისთვის!

კითხვარი 2

KVINFO - ქალთა გაძლიერება და სრულფასოვანი მონაწილეობა ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის განხორციელებაში
კვლევა ხორციელდება ქალთა საინფორმაციო ცენტრის ექსპერტის

მაია კუპრავა-შარვაშიძის მიერ

2022

სიღრმისეული ინტერვიუს სადისკუსიო გეგმა

შერჩევის კრიტერიუმები:

სულ შეირჩევა 15 დეპუტატი 5 სამიზნე მუნიციპალიტეტიდან

სამიზნე მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი ქალი მმართველი პარტიიდან 1

სამიზნე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციური პარტიის დეპუტატი ქალი 1

საკრებულოს თავჯდომარე ან მოადგილე 1 კაცი

ინტერვიუს ჩატარების ხანგძლივობა:

ინტერვიუს ჩატარების თარიღი: _____ (დღე, თვე, წელი)

სოციალურ-დემოგრაფიული ნაწილი

A.1. რესპონდენტის ასაკი _____
A.2. რესპონდენტის სქესი _____
A.3. რესპონდენტის საცხოვრებელი ადგილი _____
A.4. რესპონდენტის მობილურის ნომერი _____
A.5. რესპონდენტის ოჯახური მდგომარეობა _____
A.6. რესპონდენტის განათლება _____

A.7. სპეციალობა/პროფესია _____

A.8. ამჟამინდელი სამუშაო ადგილი _____

A.9. სამუშაო გამოცდილება _____

პოლიტიკაში ჩართულობა

1. რომელ პარტიას ეკუთვნის _____

2. რომელი წლიდან ხართ ჩართული პოლიტიკაში _____

4. მოგვითხრეთ თქვენი პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, როგორი გზა განვლეთ პოლიტიკაში ჩართვიდან დღემდე
5. თქვენს პოლიტიკურ საქმიანობაში რა სირთულეები გხვდებოდათ ან გხვდებათ დაგვისახელეთ ეს სირთულეები?
6. რა სპეციფიური სირთულე შეხვედრია, როგორც ქალ/კაც ლიდერს?
7. თქვენი გამოცდილებით პოლიტიკური კარიერის გაკეთება ქალისთვის უფრო რთულია ვიდრე კაცისთვის? გთხოვთ დაგვისაბუთოთ რატომ?
8. რამდენი საათი მუშაობთ დღეში?
9. რა სიხშირით ხვდებით მოსახლეობას?
10. როგორ იღებთ გადაწყვეტილებებს სამსახურში?

გენდერული ცნობიერება და პოზიციონირება

1. 2020 წელს მიღებული იქნა სავალდებულო გენდერული კვოტების მექანიზმი, რომლის თანახმადაც პოლიტიკური პარტიის საარჩევნო სიაში საპარლამენტო არჩევნების დროს, ყოველ ოთხეულში უნდა იყოს ქალი, ხოლო ადგილობრივი არჩევნების დროს ყოველ სამეულში, რა აზრის ხართ, რა დამოკიდებულება გაქვთ გენდერული კვოტებზე?
2. როგორ ფიქრობთ, ქალების უფლებების გაზრდა კაცების უფლებების ხარჯზე ხდება?
3. რა შეიცვალა გენდერული კვოტირების შემოღების შემდეგ თქვენ პარტიაში? თუ შეიცვალა, რამ განაპირობა ეს ცვლილება?
4. მიღწეულია თუ არა გენდერული თანასწორობა საქართველოში?
5. რა არის გენდერული თანასწორობის მხრივ ყველაზე დიდი პრობლემები საქართველოში?
6. როგორ აფასებთ გენდერული თანასწორობის მიმართულებით სახელმწიფო ინსტიტუციების საქმიანობას?
7. საქართველოს კანონმდებლობიდან, რომელი კანონები მიგაჩნიათ მნიშვნელოვნად?

8. რამდენი ქალი დეპუტატია თქვენი მუნიციპალიტეტის საკრებულოში?
9. მხოლოდ ქალ დეპუტატს - რომ არა გენდერული კვოტირების საკანონმდებლო მოთხოვნა, მოხვდებოდით თუ არა საარჩევნო სიაში?
10. გენდერული კვოტირების შემდეგ , რაც ქალთა რიცხვმა მოიმატა საკრებულოში რა ცვლილებები შეიმჩნევა?
11. როგორც ქალ დეპუტატს, გაქვთ თუ არა განცდა, რომ ქალთა პრობლემებსა და საჭიროებებზე უფრო მეტად უნდა იმუშაოთ, ვიდრე კაცმა დეპუტატებმა?
12. საკრებულოს წევრთა შორის, პოლიტიკურ პარტიაში ან საზოგადოებაში, ხომ არ არის წარმოდგენა, რომ კვოტირების შემოღების შედეგად არჩეული ქალი დეპუტატები ნაკლებად კვალიფიციური და ნაკლებად დამოუკიდებლები არიან? არსებობს თუ არა „კვოტის ქალების“ (“quota women”) ერთგვარი სტერეოტიპი?
13. არსებობს თუ არა სხვაობა ქალ და კაც დეპუტატებს შორის?
14. ჩამოთვალეთ საკითხები, რომელშიც ქალი დეპუტატები უკეთ ერკვევიან?
15. ჩამოთვალეთ საკითხები, რომელშიც კაცი დეპუტატები უკეთ ერკვევიან?
16. ხართ თუ არა მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი?
17. თუ არ ხართ საბჭოს წევრი გთხოვთ გვითხრათ რა იცით მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შესახებ?
18. მოგვითხრეთ, თქვენი როგორც გენდერული საბჭოს წევრის საქმიანობის შესახებ? რა ძირითად პრობლემებზე მუშაობთ?
19. როგორ მუშაობს თქვენი მუნიციპალიტეტი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემებზე?
20. მოგვიყვანეთ საკრებულოში თქვენი აქტივობების შესახებ რამდენიმე მაგალითი, თქვენს მიერ ინიცირებულ საკითხებზე, ან აქტივობაზე, რომელშიც მონაწილეობდით;
21. მართავთ თუ არა მოქალაქეებთან შეხვედრებს? რა სიხშირით, რა სახით და რა საკითხებს ეხებით ამ შეხვედრებზე?
22. თქვენს მუნიციპალიტეტში, რა მიგაჩნიათ ქალების ძირითად პრობლემებად?
23. გქონიათ, ქალთა საკითხებზე მუშაობის გამოცდილება არასამთავრობო სექტორში?
24. ვინ მუშაობს, რომელი დეპუტატი თქვენს საკრებულოში ქალთა და გენდერულ საკითხებზე?

ოჯახი და კარიერა

25. მხარს გიჭერთ თუ არა თქვენი ოჯახი, თქვენს პოლიტიკურ საქმიანობაში? რა სახით?
26. ხელს გიშლით თუ არა თქვენი ოჯახური მოვალეობები პოლიტიკური კარიერის განვითარებაში?
27. თქვენს ოჯახში როგორაა გადანაწილებული საოჯახო საქმეები, ვინ რა საქმიანობას უძღვება?
28. როგორ არის გადანაწილებული თქვენს ოჯახში ფინანსურად უზრუნველყოფის საკითხი?
29. როგორ ხდება თქვენს ოჯახში გადაწყვეტილებების მიღება?
30. როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?
31. როგორ ხედავთ თქვენ შემდგომ საქმიანობას?

შეჯამება

სავალდებულო გენდერული კვოტების მექანიზმის ამოქმედების შედეგად გაიზარდა ქალთა წარმომადგენლობა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, მივიღეთ ქალთა წარმომადგენლობის 23%, მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ქალთა წარმომადგენლობის შედეგს 10%-ით აღემატება (იხ. დიაგრამა #1).

2017 წლის მონაცემებთან შედარება აჩვენებს, რომ კვოტების მექანიზმის შედეგებმა ეფექტურად იმუშავა ქალთა წარმომადგენლობის მხარდასაჭერად. თუმცა, ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის კუთხით ქალთა პროცენტული მაჩვენებელი საკრებულოების დონეზე კვლავ დაბალია. რაც ცალსახად მიუთითებს საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობაზე.

მიუხედავად საკრებულოების საქმიანობაში, ქალთა გაზრდილი მონაწილეობისა და აქტიურობისა კვლავ დაბალია მათი გავლენა გადაწყვეტილების მიღების დონეზე. გამოიკვეთა ადგილობრივ პოლიტიკაში ქალი პოლიტიკოსების მონაწილეობის კუთხით არსებული გამოწვევები, რომელიც ხელს უშლის მათ თანაბარ მონაწილეობას პოლიტიკაში.

კვლავ, ძირითადი გამოწვევებად რჩება სტერეოტიპები, ასევე საკრებულოებში სხვადასხვა საკითხის განხილვის ეტაპზე, გარკვეულ წილად, ქალთა იზოლაციის მცდელობა; საქმიანობის სფეროების დაყოფა სქესის ნიშნით. თავად ქალი პოლიტიკოსების მიერ მათ წინაშე არსებული პრობლემების არ აღიარების და შეგუების პოლიტიკა, ურთიერთ გამომრიცხავი, გაორებული მდგომარეობა მათ წინაშე არსებული გამოწვევების მიმართ როგორც ქალი პოლიტიკოსის მიმართ, დროითი სიღარიბე[16] რაც უმეტეს შემთხვევაში უარყოფითად აისახება ქალის მდგომარეობაზე, მის ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნის განცდაზე.

კვლევაში ძირითადი აქცენტი გაკეთდა საკრებულოების დონეზე შემდეგი მიმართულებებით:

- სავალდებულო გენდერული კვოტების მექანიზმის ამოქმედების შედეგები 2021 წლის არჩევნებში.
- გამარჯვებულ ქალ დეპუტატთა პოლიტიკურ ცხოვრებაზე სავალდებულო კვოტების მექანიზმის გავლენის შეფასება.
- სავალდებულო კვოტების მექანიზმის ზეგავლენა თვითმმართველობის პოლიტიკაზე.

მესამე სექტორის დაუღალავმა შრომამ და მიზანმიმართულმა საქმიანობამ შედეგი გამოიღო, საქართველოს აქვს არჩევნებში გენდერული კვოტების მექანიზმის კანონი, რომელიც ეტაპობრივად მზარდია და რაც გენდერული თანასწორობის მიღწევის საწინდარია უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში და ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე.

გენდერულ თანასწორობას ორი ძირითადი პრინციპი განსაზღვრავს, ეს არის სამართლიანობა და კეთილდღეობა. სამართლიანია, თუ ქალსა და კაცს აქვთ თანაბარი სასტარტო პირობები და ცხოვრებისეული შესაძლებლობები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის, თუ ქალები და კაცები თანაბრად სარგებლობენ საზოგადოებრივი სიკეთეებით, თუ თანაბრად მონაწილეობენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების

[16] გულისხმობს მდგომარეობას, როდესაც ძალიან ხანგრძლივი სამუშაო საათების გამო, ადამიანს მცირე დრო აქვს ან საერთოდ არ რჩება დრო დასვენებისთვის, გართობისა და სოციალიზაციისთვის. დროითი სიღარიბე მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს პიროვნების ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნის განცდაზე.

პროცესში. თუ ეს პრინციპები დაცულია საზოგადოებაში, ის ქვეყნის კეთილდღეობასა და სამართლიანობაზე დაფუძნებულ, მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის არგუმენტები

ქალთა პოლიტიკური რეპრეზენტაციის მნიშვნელობაზე მსჯელობისას, როგორც წესი, რამდენიმე მთავარ არგუმენტს გამოყოფენ: 1) სამართლიანობის არგუმენტის თანახმად, ვინაიდან ქალები მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ, სამართლიანი იქნება, რომ ისინი პოლიტიკური თანამდებობების ნახევარს ფლობდნენ. 2) გამოცდილებაზე დამყარებული არგუმენტის თანახმად, ქალებს განსხვავებული გამოცდილებები აქვთ და პოლიტიკურ პროცესებში ამ გამოცდილებების გასათვალისწინებლად აუცილებელია ქალების პოლიტიკური რეპრეზენტაცია. 3) ინტერესებზე დამყარებული არგუმენტი ამბობს, რომ ქალებსა და კაცებს ურთიერთსაპირისპირო ინტერესები აქვთ და ამიტომ მამაკაცებს არ ძალუძს ორივე სქესის ინტერესების რეპრეზენტაცია. 4) სიმბოლური არგუმენტის მიხედვით, ქალი პოლიტიკოსის არსებობა მნიშვნელოვანია, რადგან ის ერთგვარი მისაბაძი მაგალითი, როლის მოდელია სხვა ქალებისთვის, მიიზიდავს მათ პოლიტიკაში მონაწილეობისკენ და ხელს შეუწყობს ქალების პოლიტიკური რეპრეზენტაციის გაზრდას. 5) დემოკრატიის იდეაზე დამყარებული არგუმენტის მიხედვით, ქალთა და მამაკაცთა თანაბარი წარმომადგენლობა ზრდის მმართველობის დემოკრატიზაციის დონეს.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ საზოგადოება გარკვეულ წილად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების ჩართულობა პირდაპირ კავშირშია ქალთა უფლებების ყოველმხრივ დაცვასთან და ქვეყანაში სამართლიანობის შენარჩუნებასთან, რაც თავის მხრივ ქვეყანაში კეთილდღეობის საწინდარია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პარტიის წარმომადგენლები დღესაც, კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან კვოტების სისტემას, მნიშვნელოვანია არსებული მუხტის და სოლიდარობის განცდის შენარჩუნება. ყველა ის წარმომადგენელი, ვინც საქართველოში გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის მუშაობს უნდა შეეცადოს ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. პოლიტიკურად რთული გახდეს ამ მოცემულობის იგნორირება და ამომრჩევლის სურვილის უგულებელყოფა, რადგან სწორედ ამომრჩეველის სურვილია იხილოს მეტი პროგრესი და თანასწორობა.